რეცენზია ავტორთა ჯგუფის მიერ (როინ მალაყმაძე, ნოდარ კახიძე, სულხან მამულაძე) შექმნილ მონოგრაფიაზე - „ისტორიისა და კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობაში“. რედაქტორი ელზა ფუტკარაძე, გამომცემლობა, „ფავორიტი სტილი“, ბათუმი, 2024.

მონოგრაფია - „ისტორიისა და კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობაში“ - მომზადდა და გამოიცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის № 12 დადგენილებით ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საფუძველზე.



ორად გაყოფილი (საქართველო-თურქეთი) მაჭახლის ხეობის ისტორიისა და კულტურის ძეგლები სრულყოფილად დღემდე მეცნიერულად შესწავლილი არ ყოფილა. ამდენად, ნაშრომი მაჭახლის ხეობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების შედარებით სრულყოფილად შესწავლის პირველი ცდაა. წიგნი ილუსტრირებულია, რაც დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას აძლევს ვიზუალურადაც გაეცნოს მაჭახლის ხეობის ისტორიას. ხეობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების გაცნობით კი, მკითხველი დარწმუნდება, თუ რა წვლილი შეიტანა ხეობამ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის განვითარებაში.

მონოგრაფია შედგება შვიდი ნაწილისაგან: შესავალში დახასიათებულია მაჭახლის ხეობა უძველესი დროიდან დღემდე. განხილულია ხეობაში არსებული ნასოფლარები და ნასახლარები, საფორტიფიკაციო ნაგებობანი და სავაჭრო-საქარავნო გზები, ქვის თაღიანი ხიდები, მარან-საწნახლები, სამეურნეო დანიშნულების მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები, რომელსაც თან ერთვის ანოტაცია ინგლისურ და თურქულ ენებზე, ფოტოილუსტრაციები, გამოყენებული ლიტერატურა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი. ნაშრომი შეადგენს 168 ნაბეჭდ გვერდს.

წარმოდგენილი მონოგრაფია მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული და იგი დიდი შენაძენია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისათვის, ასევე, ისტორიკოსების, თურქოლოგების, სტუდენტებისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის.

პროფესორი ემზარ მაკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი